სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება
№177

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი თავმჯდომარის დავით გრიგოლიას სახით და მეორე მხრივ, შპს „ივერსი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან დემეტრაშვილი სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების თანახმად და 2023 წლის 15 ივნისის № 1172-03 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე სხვა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სააგენტოს საკუთარი სახსრებით (ქვეპროგრამა „მეღვინეობა-მევენახეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება“) სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს სამუშაო პროცესის შეუფერხებლად და წარმატებით განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, 15 (თხუთმეტი) ერთეული IP-ტელეფონის აპარატის შესყიდვა (CPV – 32552100) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღე.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №32.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 867.50 (ათას რვაას სამოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი) ლარი.

4.2 ერთი ერთეული IP-ტელეფონის აპარატის ღირებულება შეადგენს 124. 50 (ას ოცდაოთხი ლარი და 50 თეთრი) ლარს

4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 15 (თხუთმეტი) ერთეული IP-ტელეფონის აპარატის (GXP1625, Grandstream business IP Phone with 2 lines, 132x48 LCD, HD audio, 3-way conferencing POE), მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისაგან ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.4 შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება;

6. ხარისხი და გარანტია

6.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

6.2 მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება საგარანტიო ვადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

6.3 საგარანტიო პერიოდში ინსპექტირება ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის არსებობის პერიოდში. IP-ტელეფონის აპარატის დაზიანების შემთხვევაში, შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება მიმწოდებლისთვის, IP-ტელეფონის აპარატის დაზიანების შესახებ;

6.4 საგარანტიო პერიოდში საქონლის შეკეთება მოხდება, საგარანტიო ფურცელში აღნიშნული პირობებით.

6.5 იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ ექვემდებარება შეკეთებას ან არ მოხდა შეკეთება 30 სამუშაო დღის ვადაში პროდუქცია იცვლება ახლით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია, საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს ამ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს სამეურნეო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ვახტანგ ფსუტური.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ საქონლის წუნისა და თანმდევი მომსახურების, მონტაჟის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ შეცვალოს წუნდებული საქონელი ახლით ან/და გამოასწოროს ან/და თანმდევი მომსახურება, მონტაჟის ნაკლი;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო (წუნდებული) საქონლის შეცვლა და თანმდევი მომსახურება, მონტაჟის ნაკლის გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

8. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ელექტრონული ფორმით, რომელიც დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

9.ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

9.3 თუანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოებები, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ხელშეკრულების მე–3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში - პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით და დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე შეატყობინოს მეორე მხარეს.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

13.2 მხარეთა შორის (მოლაპარაკების დაწყებიდან 5 დღის ვადაში) შეუთანხმებლობის შემთვევაში დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. წინამდებარე მუხლის 13.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების პროცესი იწყება ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად

ასრულებს თავის ვალდებულებებს, ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით დამოწმების/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დადასტურების თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

18. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო	**შპს „ივერსი“**
თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გრიგოლია	დირექტორი ლევან დემეტრაშვილი
ს/კ 204446965 **იურიდ. მის.:** ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №32. **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, **ბ.კ.** TRESGE22; **ა/ა** 200122900 **ტელ:** 297 41 03	**ს/კ** 205077593 **იურ. მის.:** ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ., №106 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი“ **ბ.კ TBCBGE 22** **ა/ა** GE73TB1137536020100003
დავით გრიგოლია	**ლევან დემეტრაშვილი**
National Wine Agency Digitally signed by National Wine Agency Date: 2023.06.23 16:54:42 +04'00'	Levan Demetrashvili Digitally signed by Levan Demetrashvili Date: 2023.06.23 15:45:51 +04'00'